



ჩა ღასილი შიდი

სირველითგან იყო სიტყუა*

ოველნივე იგი სიტყუანი ოთხთა მათ სახარებათანი უზეშთაეს არიან სხუ-ათა მათ ყოველთა სწავლათა სული-სათა, რამეთუ სხუათა მათ წიგნთა შინა მონათა მიერ წინადასწარმეტყუელთა გუ-ეტყოდა ჩუენ, ხოლო სახარებასა შინა თავით ღჳსით გუეზრახა ყოველთა შეუფჳ. წრამედ თვთ მასვე ქადაგებასა მახარებელთასა უზე-შთაესი ყოველთად არს ჳმამალალი და ყოვ-ლისა სასმენელისა უზეშთაესად და ყოვლისა გონებისა უმალღესად მეტყუელი **სოვანე**, ძჳ იგი ქუხილისად, რომლისა მიერ დანერილისა მის სახარებისა დასაბამი ან აღმოვიკითხეთ და გუესმა: «პირველითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო იმრთისა თანა და იმერთი იყო სიტყუად იგი»(ინ.1,1). **სე** სიტყუანი ვიხ-ილენ მრავალნი გარეგან სიტყუსა მის ჳემმარ-იტებისა მყოფთაგანნი, რომელნი სოფლისა ამის ამოღსა სიბრძნესა ზედა ზუაობენ, ვი-თარმედ დაუკვრდა ამათვს და თვსთა მათ თქუმულთა შინა იკადრეს დანესებად. ჯამე-თუ მპარავი არს ეშმაკი და ჩუენთა მათ მი-იღებს თვსთა მათ მსახურთა მიმართ.

წნ უკუეთუ ჳორციელსა მას სიბრძნესა ეს-რეთ დაუკვრდა ძალი სიტყუათად ამათ, რად-მე ვყოთ ჩუენ მონაფეთა ამათ სულისათვს? გარენრად ვისმინოთ-ა და მათ შინა მყოფი იგი ძალი მცირედ შეეჳრაცხოთ-ა? და ვინმცა იყო სიცოფითა შეპყრობილი, რომელსა ესე-ვითარი შუენიერებად იმრთისმეტყუელებისად და სიღრმე გულისჳმისყოფისად ესრეთ მიუ-ნთომელი არამცა დაუკვრდა და სუროდამცა მიწთომად ჳემმარიტსა მას ძალსა მათსა?

წრამედ არა ძნელ არს განკვრეებად ოდენ კეთილთა საქმეთათვს, არამედ ძნელ ესე არს, რადთა კაცი ჳემმარიტითა მიწთომითა მის-წუთეს მათ, რომელთათვს-იგი უკვრდეს. **სე** არს ძნიად საპოვნელ, რამეთუ მზესა ამასცა ხილულსა არავინ არს, რომელიმცა არა აქებდა

სიდიდესა მას და სიკეთესა მისსა და შარა-ვანდედთა მისთა შუენიერებასა და ნათელსა მას მისსა. წრამედ უკუეთუ ინებოს უმეტე-სად-რე შემშჳულვად მისდა თუალთა თვსთა, არა თუ ოდენ ვერ განიცდის კეთილად, არა-მედ ხილვადცა იგი, რომელი პირველ აქუნდა, იგიცა დაუბნელდის. **სსრეთ** არს გონებადცა იგი, რომელი იბრძოდის პოვნად ჳემმარიტსა გულისჳმისყოფასა წინამდებარეთა ამათ სი-ტყუათასა: «პირველითგან იყო სიტყუად».

წინ-მე შეუძლოს ღირსებით გულისჳმის-ყოფად პირველისა მისთვს? რომლისა-მე სი-ტყუსა ძალი იპოოს, რადთა ესრეთ გამოაცხადოს გულისჳმისყოფილი იგი? რამეთუ ეგულეზოდა რად თქუმად ჩუენდა იმრთისმეტყუელეზი-სათვს ძისა იმრთისა დიდსა ამას და მალაღსა და სერაბინთა შემსგავსებულსა კაცსა, არცა ერთი ინება სხუად დანყებად სიტყუსა თვსი-სა ქმნად, გარნა პირველი იგი ყოველთაჲვე. ჯამეთუ იცოდა სულმან ჳმიდამან მომავალნი იგი მბრძოლნი და მგმობარნი იმრთეებასა მას **შხოლოდშობილისასა**, წინადასწარ იცოდა მათი იგი სიბოროტჳ, რომელთა ეგულეზოდა მრავ-ლისმეტყუელეზებად დასაქცეველად მორჩილთა მათთა, ვითარმედ: «უკუეთუ იშვა, არა იყო და უწინარეს შობისა არა იყო და არარადსაგან არსებად მიილო». ჯამეთუ ესრეთ იტყვან ენანი იგი, გმობისა მიერ ღესულნი უფროღს ყოვ-ლისა ორპირისა მახვლისა. **ჴოლო** რადთა ვერ ვის ჳელ-ენიფებოდის ესევითართა სიტყუათა თქუმად, ამისთვს უსწრო სულმან ჳმიდამან და აღძრა მახარებელი და თქუა მან მის მიერ, ვი-თარმედ: «პირველითგან იყო სიტყუად».

ოკუეთუ გეპყრას მტკიცედ სიტყუად ესე, არარად სადა გევენოს ბოროტთა მათგან ნა-თესავთა. **ოკუეთუ** იგი იტყოდის, ვითარმედ: «უკუეთუ იშვა, არა იყო», შენ თქუ: «პირვე-ლითგან იყო». **ოკუეთუ** კუალად გრქუას, ვი-თარმედ: «და უწინარეს შობისა ვითარ იყო?»

* ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, თბ., 1983. გვ. 157-163.

შენ ნუ განეშორები სიტყუასა მას, ვითარმედ: «იყო», ნუ დაუტყეებ «პირველითგანსა». სირველისა მის თავი და დასაბამი არა იპოების, სირველისა მის უპირატესი არა არს.

ჩუმცა გაცთუნებს შენ მრავალფერებითა მით ამის სიტყვსადათა, რამეთუ მრავალთა ეწოდების პირველ ამას ცხორებასა შინა. წრამედ ერთი არს სირველი იგი, უზეშთაესი ყოველთაა. ჯამეთუ, «სირველი გზისა კეთილისადა»(იგავ.16,5), ვითარცა თქუა **სოლომონ**. წრამედ პირველი გზისა არს დასაბამი მისი, სადაათ ვინცეთ სლვად, რომლისა დასასრული იპოების და კუალად: «სირველი, დასაბამი სიბრძნისაა შიში **ოფლისაა არს**»(ფს.110,10). **ნა** ამისიკა სხუად არა წინამდებარწ. **ნა** ველოვნებათა პირველი არს სწავლა, ხოლო სწავლა სიბრძნისაა შიში **ოფლისაა არს** და ამისა უპირატესი არს აგებულებად სულისა, რომელსა არღა მიეღოს სიბრძნე და შიში **ოფლისაა**. სირველნი ითქუმიან ჳელმნიფენიკა და მთავარნი ქალაქთანი, არამედ ესე ყოველნი პირველნი საქმისა რადასამე პირველნი არიან და რადასამე მიმართ მივლენ. ჯამეთუ უპირატეს სიტყუათა შეწყობისა არიან ასონი.

2. წრამედ იგი სირველი არა ესრეთ არს: არარადასადა შემშქულულ არს, არარადასადა შეკრულ არს, არავის ჳმონებს, არავის თანა იხილვების, არამედ თავისუფალ არს, უუფლო, განწნილი სხვსა მიმართ რადასამე ხედვისაგან, მიუნთომელი გონებითა, რომელსა ვერ ერგების უზეშთაესობად გონებითა და თანა-წარსლვად, რომლისა შეუძლებელ არს უპირატესისა პოვნად. ჯამეთუ უკუეთუ მაცვილობელ იქმნა ხედვითა გონებისადათა თანა-წარსლვად სირველისა მის, ჳპოო იგი წინაშე შენსა მავალი და წინაათ შეგემთხუეოდის გულის-სიტყუათა შენთადასა. **ოტევე** გონებასა მას ესევითარსა, რადათა ირბინოს, რადაზომცა ენებოს და განირთხას სიმადლედ. **შერმე** ჳპოო იგი ბევრეულად მოცთომილი და ფრიად დამაშურალი ამაოდ და კუალად თვსსავე თავსა მოქცეული, რაჟამს ვერ შემძლებელ ქმნულ არნ სირველისა მის თავსა ქუეშე თვსსა მოქცევად, რამეთუ მარადის მოგონებულისა მის გარეგან და უმაღლეს იპოების სირველი იგი.

«პირველითგან უკუე იყო სიტყუა». ჳ საკრველი! ვითარ ყოველნი ესე სიტყუანი ურთიერთას სწორებით შეერთებულ არიან! ვითარმედ «იყო» ამას სწორი ძალი აქუს «პირ-

ველითგანსა» მას თანა.

სადა არს მგმობარი იგი? სადა არს ჳრისტეს მბრძოლი იგი ენად, რომელი იტყვს, ვითარმედ: «იყო ოდესმე, ოდეს-იგი არა იყო?»

5 **უსმინე** მახარებელისა, ვითარმედ: «პირველითგან იყო», ხოლო თუ პირველითგან იყო, ოდესღა არა იყო? რა-მე ვყო ურჩულოებისათვს მათისა? სულთ-ვითქუნე, ანუ უგუნურებად მათი მოვიძაგო, რომელნი იტყვან, ვითარმედ 10 «უნინარეს შობისა არა იყო»? და შენ იცი-ა, თუ ოდეს იშვა, რადათა «უნინარესი» იგი შემოილო? რამეთუ «უნინარესი» ჟამეული სიტყუად არს, რომელი ერთსა მეორისა უპირატეს ჳყოფდეს სიძუელითა, ხოლო **ნამბადებელსა** მას ჟამთასა 15 ვითარმცა აქუნდა შობად ესევითარი, რომელიმცა ჟამეულითა სახელითა იწოდებოდა?

«პირველითგან უკუე იყო». **ოკუეთუ** არა განეშორო სიტყუასა ამას, ვითარმედ «იყო», არცა ერთი ადგილი მისცე ბოროტსა მას გმობასა. ჯამეთუ ვითარცა ნავი, კეთილად დაბმული ორკერძოთა მათ რკინათა ჳედა, უშიშ არს ლელვათაგან, ეგრეთვე შენ ბოროტი ესე აღძრვად მოჳკიცხო, რომელი-ესე სულთა მათ მიერ უკეთურთა მოინია სოფელსა ჳედა და 25 შეარყევს მრავალთა სარწმუნოებასა. **ნა** შეურაცხ-ჳყო შენ იგი, უკუეთუ სიმტკიცითა ამათ სიტყუათადათა შეჭურვილ იყოს სული შენი.

3. **ოკუეთუ** ეძიებდეს გონებად ჩუენი, თუ ვინ იყო პირველითგან, იტყვს, ვითარმედ «სიტყუადა». ჳომელი სიტყუად? ნუუკუე ესე კაცობრივი სიტყუად-ა, ანუ ანგელოზთად? რამეთუ მოასწავა მოციქულმან, ვითარმედ ანგელოზთაცა თვსი ენად აქუს და თქუა, ვითარმედ: «უკუეთუ ენასა კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი»(I კორ.13,1). **ნა** კუალად, «სიტყვსა» ორი სახწ არს: «ერთი ესე, რომელი ჳმითა ითქუმის და შემდგომად თქუმისა ჳაერად განილევის და მეორწ იგი არს ჩუენ შორის მყოფი იგი, რომელი არს გულთა შინა ჩუენთა, 40 მოგონებისა იგი და გულისწმისყოფისა და ველოვნებისა».

უსილე, ნუუკუე გაცთუნოს ერთსახელობამან ამის სიტყვსამან. ჯამეთუ ვითარ პირველითგან იყო სიტყუად კაცისა, ვინაათგან კაცმან უკუანადკნელ მიილო დასაბამი არსებისა? რამეთუ უნინარეს კაცისა იქმნეს მწეცნი და პირუტყუნი და ყოველნი ქუენარმავალნი წყალთანი და ჳმელისანი და მფრინველნი ცისანი და მზწ და მთოვარე და ვარსკულავნი

და თივანი და ქუეყანა და ზღუა და ცანი. წრა იყო უკუე სიტყუა კაცისა პირველით-გან, არამედ არცა ანგელოზთა სიტყუა იყო პირველითგან, რამეთუ ყოველივე დაბადებული უმრწემესი არს საუკუნეთა, რომელსა მიუღებეს დასაბამი არსებისა ჴემოქმედისა მიერ. **წა** კუალად გულითადიცა იგი სიტყუა, იგიცა უდარეს არს და უმრწემეს გონებისა.

წრამედ ისმინე სიტყუა ესე იმრთივ შუენიერად, რამეთუ ესე შხოლოდშობილისა მისთვის იტყოდა და «სიტყუად» უწოდა, ვითარცა-იგი შემდგომად მცირედისა «ნათელადცა» უწოდს და «ცხორებად» და «აღდგომად». **წა** ნუცა, რაჟამს «ნათელი» გესმას, ხილულისა ამის მიმართ მიიწევი, ნუცა, რაჟამს «ცხორებად» გესმეს, ზოგადსა ამას ცხორებასა ჩუენსა გულისწმა-ჰყოფ, რომელი აქუს პირუტყუთაცა. **გრეთვე**, რაჟამს «სიტყუად» გესმას, ეკრძალე, ნუუკუე უძღურებითა შენისა ბუნებისათა მდაბალთა და ქუეყანისათა ზრახვათა მიმართ მიხვდე. **წრამედ** გამოეძიებდ ძალსა ამისსა, თუ რადსათვს თქუა «სიტყუად»? რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ გონებისაგან გამოვიდა. **ქად** არს სიტყუად? – რამეთუ უვნებელად იშვა. **ქად** არს სიტყუად? – რამეთუ ხატი არს მშობელისა მის და ყოველითურთ გამოაჩინებს მას თავსა შორის ძესსა. **წრცა** შისგან განყოფილ არს და სრულ არს თავით ძესით, რამეთუ ვითარცა ჩუენი სიტყუა გამოხატავს გულისზრახვასა ჩუენსა და რა-იგი გულსა შინა მოვიგონით, იგი ვთქვთ სიტყვთა და არს გულისსიტყვსა ხატი სიტყუად იგი თქუმული. **ქამეთუ** ნამეტნავისაგან გულისა გამოვალს სიტყუად და არს გული ჩუენი ვითარცა წყაროდ და სიტყუად – ვითარცა წყალი, აღმომავალი წყაროდსა მისგან. **წა** ესეზომ არს მდინარწ იგი, რა-ზომი არს პირველად აღმოსრული და, ვითარი არს დაფარული, ესევითარივე არს გამოცხადებული.

«სიტყუად» უკუე თქუა, რადთა უვნებელი იგი შობად შამისა გიჩუენოს და სრული იგი არსებად ძისა იმრთისმეტყუელებით თქუას და უჟამოდ იგი შეერთებად ძისა შამისა მიმართ ამათ სიტყუათა მიერ გამოაცხადოს. **ქამეთუ** ჩუენიცა ესე სიტყუად ნაშობი არს გონებისა, უვნებელად შობილი; რამეთუ არცა განიკუეთების, არცა განიყოფვის, არცა დის, არამედ ყოველითურთ მდგომარე არს ბუნებად

თვსსა აგებულებასა ზედა სრულიად და ესრეთ სიტყუასა მას სრულსა გამოიღებს. **წა** გამო-რა-ვიდის სიტყუად, ყოველივე მშობელისა მის გონებისა ძალი თავსა შორის თვსსა აქუნ. **წნ** უკუე რომელიცა-რა კეთილი იყოს და შესაწყნარებელ, ესეზომ მიიღე იმრთისმეტყუელებად შხოლოდშობილისა ძისა იმრთისა სახისა ამისგან სიტყვსა ჩუენისა და რომელიცა ჰპოო შეუმსგავსებელ და არაკეთილ მისდა სახედ მოღებად, მას განემორე და თანა-ნარჰვედ ყოველითავე ღონისძიებითა.

«სირველითგან იყო სიტყუად». **ქოლო** უკუეთუმცა ეთქუა, ვითარმედ პირველითგან იყო ძწ, შემოვიდამცა ნუუკუე შენ თანა გულის-სიტყუად ვნებისა, რამეთუ ჩუენ შორის მშობელნი ესე ჟამეულად შობენ და ვნებულად. **წმისთვის** უსწრო და «სიტყუად» სახელ-სდვა, რადთა წინაწარვე აღჰმართენს უჯერონი იგი იჭუნი და სული შენი დაიცვას მოუწყლველად.

4. «წა სიტყუად იგი იყო იმრთისა თანა». **ქუალად** თქუა, ვითარმედ «იყო» მგმობართა მათთვის, რომელნი იტყვან, ვითარმედ «არა იყო». **სადა** იყო სიტყუად იგი? არა იყო ადგილსა შინა, რამეთუ გარემომოუწერელი **ღი** არა შეიწყუდევის ადგილსა შინა, არამედ **სადა** იყო? – «იმრთისა თანა». **წრცა** შამად არს ადგილსა შინა, არცა ძწ შეიპყრობის გარე-შემოწერითა, არამედ დაუსრულებელ არს შამად და დაუსრულებელ არს ძწ. **ყოველივე**, რომელიცა მოიგონო და ვიდრეცა ხვდე სულითა შენითა, ყოველივე იმრთისა მიერ აღვსებული ჰპოო, ყოველგან თანაშეერთებული ჰპოო არსებად იგი ძისა.

«**წა სიტყუად იგი იყო იმრთისა თანა**». **ღი-კვრდინ** ძალი თითოეულისა სიტყვსა! არა თქუა, თუ «სიტყუად იგი იყო შორის იმრთისა», არამედ «იმრთისა თანა», რადთა თვთებად იგი გუამოვნებისა გამოაჩინოს. **წრა** თქუა «შორის იმრთისა», რადთა არა მისცეს მიზეზი ბოროტისა მის სიტყვსა, რომელნი იქმან შერწყმასა მას გუამთასა. **ქოროტი** არს იგიცა გმობად, რომელნი შერევენასა მას იკადრებენ და ერთად გუამად იტყვან შამასა და ძესა და სულსა წმიდასა და სამთა ამათ სახელთა ერთსა ზედა საქმესა დადებად ზრახვენ. **ქოროტი** არს უშუფულოებად იგი და საძაგელ, უდარეს არს მათსა, რომელნი ბუნებით შეუმსგავსებელად იტყვან ძესა იმრთისასა იმრთისა თანა და შამისა. **სწორი** არს ორივე ესე გმობად – **საბელიოზის**

შერწყმა და **წროზის** განყოფად, მისი გუბითა და ამისი ბუნებითა.

«**წა** სიტყუად იგი იყო იმრთისა თანა» – მერმე, ვითარცა ესე თქუა და იწმარა სახელი ესე სიტყუსად გულისწმისსაყოფელად უვნებელად შობისა, კუალად ადრე განკურნა ვნებად იგი, რომელი სახელითა სიტყუსადათა ჩუენ ზედა მოიწოდდა. **წა** ვითარმცა მოიტაცებდა თავსა თვსსა ცილისწამებისა მისგან მგმობართაჲსა, თქუა, თუ რად იყო სიტყუად იგი, ვითარმედ: «და იმერთი იყო სიტყუად იგი».

ჩუ ჰწველოვნებ წინაშე ჩემსა განყოფილებისათვს სიტყუათაჲსა, ჰ დაბნელებულო ნათელსა შინა, ნუცა შენითა მაგით საძაგელებლობითა შეახებ გმობასა რასმე სწავლათა მათ სულისათა. **წა**ქუს შენ განჩინებად ესე ყოველივე კეთილი, დაემორჩილე **აფალსა**, რამეთუ «იმერთი იყო სიტყუად იგი».

«**წა** იყო პირველითგან იმრთისა თანა». **წა** ესერა იხილეთ, ვითარ მცირედითა სიტყუათა კუალად თავითგან მოაქცევს და იტყვს თვსსა მას იმრთისმეტყუელებასა ყოველსავე, რომელი-იგი თქუა **შხოლოდშობილისათვს** საკრველმან მახარებელმან, ვითარმედ «ვინ იყო სიტყუად იგი?» – «იმერთი იყო». **წა**ამეთუ ვინათგან გამოგიცხადა გულისწმისყოფად მისი და გამოწერა სულსა შინა შენსა სწავლითა თვსითა, რად-იგი არა იცოდე, და დაამკვდრა სიტყუად იგი «**წარისტე**» გულსა შენსა, მერმე კუალად-მოიქცა და თქუა, ვითარმედ «ესეო». «ესე» ვინ? ნუ გარეგან მიმოიხედავ, რადამცა სიტყუათა ამით ჩუენებისათა ეძიებდ ვისმე გარეთ, არამედ შევედ დაფარულთა მათ შინა სულისა შენისათა. **წა** ვითარ-იგი გისწავივს ამის მიერ იმერთი, რომელი პირველითგან იყო, რომელი ვითარცა სიტყუად გამოვიდა, რომელი იმრთისა თანა იყო და არს, ესე იცან და გიკვრდინ და თავუანის-ეც შეუფესა შენსა, რომელი ამით სწავლითა შემოსრულ არს შენ შორის; გულისწამა-ყავ, ვითარმედ «ესე იყო პირველითგან იმრთისა თანა», **წა**ვსისა **წამისა**.

წა არიან სიტყუანი იგი, უსწავლელისა მის მიერ თქუმულნი ჩუენდა, დამაქცეველნი და შემწუველნი ენათა მათ, სიბრძნითა მით ამაოთა ლესულთა: არამედ, ჰ სულო დიდებულო,

მეუფეო ცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, თავუანის-ვსცემ შენსა იმრთეებასა, რომელმან მეთევზწ იგი ესევეითართა საქმეთა გამომეტყუელ ჰყავ; ჰ სამებაო, ჩემო სანურთელო და ჩემო სამკაულო, რომელმან ესევეითარი სიბრძნწ მოანიჭე კაცსა მას; ჰ კაცო და ანგელოზო, შეყუარებულო **წარისტესო**, რომელმან ესრეთ ჭეშმარიტებად გუასწავე.

ჰ ძმანო, ესე მცირედნი სიტყუანი დაიმარხენით, ვითარცა ბეჭდითა დაბეჭდულნი სულთა შინა თქუენთა. **წა**ენი იყვნედ თქუენდა ზღუდე მტკიცე ბრძოლასა მას წინააღმდეგობათსა; ესენი მცველ სულისა არიან, მფარველნი ვნებისა მისგან მავნებელთაჲსა. **ა**კუეთუ ვინ მოგიწდეს და გრქუას, ვითარმედ: «არა იყო და იშვა, რამეთუ უკუეთუ იყო, ვითარ იშვა?» ვითარცა ეშმაკისა წამად, გარე-მიაქციე გმობად იგი დიდებისა მის **შხოლოდშობილისა**, ხოლო შენ მოიქეც და მოედ სიტყუათა მათ სახარებისათა, ვითარმედ: «პირველითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო იმრთისა თანა და იმერთი იყო სიტყუად იგი. **წა** იყო პირველითგან იმრთისა თანა»(ინ.1,1-2).

ათხვზის თქუა, ვითარმედ «იყო» და განაქარვო მათი იგი «არა იყო».

წასე საფუძველნი სარწმუნოებისანი შეუძრველადმცა ჰგიან. **წა**მათ ზედა შეწვენითა იმრთისათა ალვაშენოთ სხუადცა იგი. **წა**ამეთუ არა შესაძლებელ არს ყოველთათვს ერთბამად თქუმად, ნუუკუე უზომოებითა სიტყუათაჲსა უწმარ ვყვნეთ თქუენდა შრომით შეკრებულნი ესე. **წა**ამეთუ უძლურ იქმნის გონებად ყოველთაჲვე სწორად შეპყრობად ერთბამად და წაეკიდის მას, ვითარცა მუცელსა, რომელმან სიმრავლითა განძლომისათა ვერ შეუძლის მოდნობად, რად-იგი ეჭამის.

წალოლო მე ვილოცავ თქუენთვს, რადათა დაგიტებეს გემოჲცა და სარგებელ გეყოს მოდნობადცა. **წა** მე ვდგა განმზადებული მსახურებისა მიმართ ნაკლულევანთა მათ თქუმულთაჲსა **წარისტე** **წა**ესუს მიერ, **აფლისა** ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებად და სიმტკიცწ თანა **წა**ამით და სულთი **წამიდიურთ**, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.